RTC

სარკინიგზო
ტრანსპორტის
კოლეჯი

პროფესიული პროგრამების საგანმანათლებლო კატალოგი

2025-2026

WWW.RTC.EDU.GE

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

სარჩევი

კოლეჯის შესახებ 3

მისია, ხედვა და ღირებულებები 4

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები 5

დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები 6

კოოპერაციული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები 15

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები 21

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ანონსი 26

მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები 30

სასწავლო გარემო 50

წარმატებული კურსდამთავრებულების ისტორიები 51

საკონტაქტო ინფორმაცია 53

კოლეჯის შესახებ

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი 2015 წელს, სს საქართველოს რკინიგზის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაარსდა.

კოლეჯმა წარმატებით განახორციელა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოსთვის“ MCA-Georgia მიერ წარმოდგენილი საგრანტო პროექტი, „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის” (ISWD), რომლის ძირითადი მიზანი პროფესიული სწავლების დუალური მეთოდის განვითარება სარკინიგზო დარგში დასარკინიგზო შრომის ბაზრის გაუმჯობესებაა.
კოლეჯის პარტნიორები არიან - „Deutsche Bahn International“ GmbH, Germany და აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ.

კოლეჯში შექმნილია სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სწავლის მაღალ დონეს კი უზრუნველყოფს მასწავლებლების კვალიფიციურობა და საგანმანათლებლო პროგრამები.

მისია, ხედვა, ღირებულებები

კოლეჯის მისია

კოლეჯის მისიაა ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ინდუსტრიაში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისათვის წინაპირობების შექმნა, რომელიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ.

კოლეჯის ხედვა

კოლეჯის ხედვაა, სარკინიგზო ინდუსტრიაში იყოს ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება როგორც ქვეყანაში, ისე კავკასიის რეგიონში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, სასწავლო-სამეწარმეო მჭიდრო და მრავალფეროვანი პარტნიორობით, პროფესიონალ თანამშრომელთა გუნდითა და დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებით.

კოლეჯის ღირებულებები

- გუნდური მუშაობა;
- გამჭვირვალობა;
- პროგრესულობა და ინოვაციების მხარდაჭერა;
- ადამიანის უფლებათა დაცვა;
- ინტერნაციონალიზაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

სწავლის ხანგრძლივობა – 24 თვე

- რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა ;
- რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი;
- რკინიგზის ელექტრო მომარაგების მეურნეობა;
- ლოკომოტივის მართვა;
- რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა;
- რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება;
- სავაგონო მეურნეობა;
- სარკინიგზო გადაზიდვები;

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

სწავლის ხანგრძლივობა – 24 თვე

- რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა;
- სავაგონო მეურნეობა;
- რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება;
- სარკინიგზო გადაზიდვები;



კოოპერაციული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

- მეჩარხე;

სწავლის ხანგრძლივობა - 17 თვე.

- შედუღება;

სწავლის ხანგრძლივობა - 15 თვე.

- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები;

სწავლის ხანგრძლივობა - 23 თვე.

- საწყობის ოპერირება;

სწავლის ხანგრძლივობა - 18 თვე.

- ტვირთების ექსპედირება;

სწავლის ხანგრძლივობა - 18 თვე.

დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები



“რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა”

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე
საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში /
Basic Vocational Qualification in Road Construction.

მიზანი
საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სფეროს უზრუნველყოფა კომპეტენტური კადრებით, რომლებიც შეძლებენ რკინიგზების მშენებლობას, მომსახურებას, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვას, რემონტს, რეკონსტრუქციას, რეაბილიტაციასა და რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგს.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები
- საბაზო განათლება;
- მინიმალური ასაკი 18 წელი;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ საბაზო პროფესიული პროგრამის გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო სექტორში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება რკინიგზების მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციასთან.

სტრუქტურა და მოდულები
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 14 კრედიტის ჯამური ოდენობით; 5 საერთო პროფესიულ მოდულს 18 კრედიტის ჯამური ოდენობით; კონცენტრაციის მიმართულებით- 9 სპეციალიზაციის მოდულს 47 კრედიტის ჯამური ოდენობით; კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 79 კრედიტი.
სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- აღწეროს კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები;
- დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
- შეარჩიოს სალიანდაგო მექანიზმები, ხელსაწყო-იარაღები და მასალები;
- შეამოწმოს სალიანდაგო მექანიზმების და სამუშაო იარაღების გამართულობა;
- შემოფარგლოს სასიგნალო ნიშნებით სამუშაოთა წარმოების ადგილი;
- აწარმოოს მიწის ვაკისისა და ხელოვნური ნაგებობების მოვლა–შენახვის სამუშაოები;
- გაასწოროს გრძივ პროფილსა და თარაზოში ლიანდაგი და ისრული გადამყვანი;
- გაასწოროს გეგმაში ლიანდაგი (რეხტირება);
- გაასწოროს ნაბურციანი ლიანდაგი;
- დაარეგულიროს ლიანდაგის სიგანე და საპირაპირო ღრეჩოები;
- გაწმინდოს თოვლისაგან ლიანდაგი და ისრული გადამყვანი;
- შეცვალოს ლიანდაგის ზედა ნაშენისა და ისრული გადამყვანის ელემენტები;
- გადააწყოს მაიზოლირებელი პირაპირები და საკონტაქტო რელსის კვანძები;
- დააგოს ლიანდაგი;
- განმუხტოს ტემპერატურული დაძაბულობა უპირაპირო ლიანდაგის სარელსო წნულებში;
- დაათვალიეროს რელსების, სამაგრების, შპალების, ბალასტის, ისრული გადამყვანის, სარკინიგზო გადასავალის, სასიგნალო და სალიანდაგო ნიშნების, მიწის ვაკისის, ხელოვნური ნაგებობების და გასხვისების ზოლის მდგომარეობა.

კვალიფიკაციის მინიჭება
კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 72,2% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი
პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

“რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი”

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე
საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში /
Basic Vocational Qualification in Road Construction

მიზანი
საგანმანათლებლო პროგრამისმიზანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სფეროს უზრუნველყოფა კომპეტენტური კადრებით, რომლებიც შეძლებენ რკინიგზების მშენებლობას, მომსახურებას, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვას, რემონტს, რეკონსტრუქციას, რეაბილიტაციასა და რკინიგზის ლიანდაგისმონიტორინგს.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები
- საბაზო განათლება;
- მინიმალური ასაკი 18 წელი;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო სექტორში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება რკინიგზების მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციასთან და ლიანდაგის მონიტორინგთან.

სტრუქტურა და მოდულები
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 14 კრედიტის ჯამური ოდენობით; 5 საერთო პროფესიულ მოდულს 18 კრედიტის ჯამური ოდენობით; რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის არჩევითი კონცენტრაციის მიმართულებით - 9 სპეციალიზაციის მოდულს 47 კრედიტის ჯამური ოდენობით; ასევე, გათვალისწინებულია არჩევითი მოდულები რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი 16 კრედიტის ოდენობით.
კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 95 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები
კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- აღწეროს კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები;
- დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები.
- შეარჩიოს სალიანდაგო მექანიზმები, ხელსაწყო-იარაღები და მასალები;
- შეამოწმოს სალიანდაგო მექანიზმების და სამუშაო იარაღების გამართულობა;
- შემოფარგლოს სასიგნალო ნიშნებით სამუშაოთა წარმოების ადგილი;
- აწარმოოს მიწის ვაკისისა და ხელოვნური ნაგებობების მოვლა–შენახვის სამუშაოები;
- გაასწოროს გრძივ პროფილსა და თარაზოში ლიანდაგი და ისრული გადამყვანი;
- გაასწოროს გეგმაში ლიანდაგი (რეხტირება);
- გაასწოროს ნაბურციანი ლიანდაგი;
- დაარეგულიროს ლიანდაგის სიგანე და საპირაპირო ღრეჩოები;
- გაწმინდოს თოვლისაგან ლიანდაგი და ისრული გადამყვანი;
- შეცვალოს ლიანდაგის ზედა ნაშენისა და ისრული გადამყვანის ელემენტები;
- გადააწყოს მაიზოლირებელი პირაპირები და საკონტაქტო რელსის კვანძები;
- დააგოს ლიანდაგი;
- განმუხტოს ტემპერატურული დაძაბულობა უპირაპირო ლიანდაგის სარელსო წნულებში;
- დაათვალიეროს რელსების, სამაგრების, შპალების, ბალასტის, ისრული გადამყვანის, სარკინიგზო გადასავალის,სასიგნალო და სალიანდაგო ნიშნების, მიწის ვაკისის, ხელოვნური ნაგებობების და გასხვისების ზოლის მდგომარეობა.

კვალიფიკაციის მინიჭება
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 53,1% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი
პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

„რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

„რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში//
Secondary Vocational Qualification inElectricity;

მიზანი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტროობაში. პროგრამის საფუძველზე შესაძლებელია მომზადდეს კადრი რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები
- საშუალო პროფესიული კვალიფიკაციისათვის - სრული ზოგადი განათლებ**ა;**

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისგავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში დასხვა ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელიც აღჭურვილია ელექტრული დანადგარებით, მოწყობილობით და ელექტროგადამცემი ხაზებით.

სტრუქტურა და მოდულები
არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:
საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის ოდენობით. 3 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 12 კრედიტის ოდენობით და 9 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 69 კრედიტის ოდენობით. ელექტრობაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 92 კრედიტი.
სწავლის ხანგრძლივობა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები
კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ჩაატაროს რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის სამუშაო გარემოს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებები;
- გაზომოს ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების და დამცავი საშუალებების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრები;
- გაუწიოს რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარებს ტექნიკური მომსახურება;
- ჩაატაროს რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტი;
- ჩაატაროს რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების კაპიტალური რემონტი.

კვალიფიკაციის მინიჭება
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50,5% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი
პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

კოლეჯმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, მოიპოვა უფლება მიანიჭოს „BTEC“-ის საერთაშორისო კვალიფიკაცია და ამ ეტაპზე უკვე ყავს 18 წარმატებული კურსდამთავრებული, რომლებსაც მიენიჭათ ორმაგი ხარისხი ელექტროობაში BTEC საერთაშორისო აკრედიტაციით.

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

“ლოკომოტივის მართვა “

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,ლოკომოტივის მართვა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

• საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტში/
Secondary Vocational Qualification in Rail Motor vehicles

მიზანი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ლოკომოტივის მართვის სპეციალისტი სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები
- სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის,,ლოკომოტივის მართვა“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის რკინიგზაზე ლოკომოტივის მემანქანედ.

სტრუქტურა და მოდულები
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 15 კრედიტის ჯამური ოდენობით; 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ჯამური ოდენობით; ლოკომოტივი მართვის მიმართულებით - 6 სპეციალიზაციის მოდულს 50 კრედიტის ჯამური ოდენობით;
კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- აღწეროს კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები;
- დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
- იმუშავოს ლითონურ და არამეტალურ მასალებთან, შეასრულოს საზეინკლო ოპერაციები;
- უზრუნველყოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სარკინიგზო ტრანსპორტზეუსაფრთხო სამუშაო გარემო;
- წაიკითხოს ნახაზები და სქემები.
- დაგეგმოს ლოკომოტივის მემანქანის სამუშაო პროცესი;
- გამართოს მოძრავი შემადგენლობის მაღალი, დაბალი ძაბვისა და პნევმატური მოწყობილობების სქემები;
- ჩაატაროს ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დათვალიერება;
- შეასრულოს მატარებელთან ჩადგომა/გამზადება/ახსნა
- მართოს ლოკომოტივი და ძრავავაგონიანი შემადგენლობა
- შეამოწმოს/ნაწილობრივ შეაკეთოს ლოკომოტივი და ძრავავაგონიანი შემადგენლობა.

კვალიფიკაციის მინიჭება
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 55,3 რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი
პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

“რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა”

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე
საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტში/
Secondary Vocational Qualification in Rail Motor vehicles

მიზანი

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამაზადოს სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის სპეციალისტი, რომლის საქმიანობის სფეროა რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობის მომსახურება.

\
დაშვების წინაპირობა/წინაპირობები
- სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის მომსახურებასთან. კერძოდ, რკინიგზაში, მეტროპოლიტენში, სალოკომოტივო დეპოსა და ელმავალ და ვაგონ მშენებელ ქარხანებში.

სტრუქტურა და მოდულები
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 15 კრედიტის ოდენობით; 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ოდენობით, 10 კონცენტრაციის მოდულს 50 კრედიტის ოდენობით
კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- გამოხაზოს დეტალები და სქემები ზომებსა და მასშტაბში;
- გაიანგარიშოს ელექტრომოწყობილობებისა და დანადგარების ძირითადი პარამეტრები;
- უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებზე მუშაობისას;
- შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები;
- შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილი;
- შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის წევის ძრავა და დამხმარე მანქანები;
- შეამოწმოს/შეაკეთოს პნევმატურ–სამუხრუჭე მოწყობილობების კვების სისტემა;
- შეამოწმოს/შეაკეთოს პნევმატურ–სამუხრუჭე სისტემა;
- შეამოწმოს/შეაკეთოს სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობები;
- შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის მაღალი ძაბვის აპარატურა;
- შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის დაბალი ძაბვის აპარატურა;
- შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის დიზელის ძრავა და ჰიდრომექანიკური რედუქტორი;
- შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის ძირითადი აგრეგატები და დიზელ–გენერატორი;
- გამოიყენოს მაღალი და დაბალი ძაბვის აპარატურის და სალოკომოტივო სიგნალიზაციის სქემები.

კვალიფიკაციის მინიჭება
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 75% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი
პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

“სავაგონო მეურნეობა”

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,სავაგონო მეურნეობა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია
სარკინიგზო ძრავიან ტრანსპორტში/ Secondary Vocational Qualification in Rail Motor vehicles.

მიზანი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის სპეციალისტები, რომელთა საქმიანობის სფეროა ვაგონების მომსახურება.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები
- სრული ზოგადი განათლება
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სავაგონო მეურნეობა“ გავლის შემდეგ - ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის მომსახურებასთან. კერძოდ, რკინიგზაში, მეტროპოლიტენში და ვაგონ მშენებელ ქარხნებში.

სტრუქტურა და მოდულები
არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 15 კრედიტის ოდენობით; 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ოდენობით, 7 კონცენტრაციის მოდულს 50 კრედიტის ოდენობით
კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ·მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- ·გამოხაზოს დეტალები და სქემები ზომებსა და მასშტაბში;
- ·გაიანგარიშოს ელექტრომოწყობილობებისა და დანადგარების ძირითადი პარამეტრები;
- ·უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებზე მუშაობისას
- ·შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები;
- ·შეამოწმოს/შეაკეთოს რეფრიჟერატორული მოძრავი შემადგენლობა;
- ·შეამოწმოს/შეაკეთოს სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილები;
- ·შეამოწმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილები;
- ·შეამოწმოს/შეაკეთოს ვაგონის ძარის და დამრტყმელ–საწევი მოწყობილობები;
- ·შეამოწმოს/შეაკეთოს სამუხრუჭე მომწყობილობები;
- ·შეამოწმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობები;
- ·შეამოწმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონების ელექტროდანადგარები და ელექტრომოწყობილობები;

კვალიფიკაციის მინიჭება
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 51% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი
პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

“რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალზიაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება”

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში/
Secondary Vocational Qualification in Railway Operation.

მიზანი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სპეციალისტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები
- სრული ზოგადი განათლება
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს რკინიგზის ოპერირების ორგანიზაციებში სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სპეციალისტად.

სტრუქტურა და მოდულები
არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 15 კრედიტის ჯამური ოდენობით; 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ჯამური ოდენობით; დარგობრივი მიმართულებით - 6 სპეციალიზაციის მოდულს 50 კრედიტის ჯამური ოდენობით;
კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები
კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- აღწეროს კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები;
- დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
- იმუშავოს ლითონურ და არამეტალურ მასალებთან, შეასრულოს საზეინკლო ოპერაციები;
- უზრუნველყოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სარკინიგზო ტრანსპორტზეუსაფრთხო სამუშაო გარემო;
- წაიკითხოს ნახაზები და სქემები;
- დაგეგმოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სპეციალისტის სამუშაო პროცესი;
- გამოიყენოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებში მიკროპროცესორული, ელექტრონული და ელექტრული ტექნიკა;
- შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე საგადასარბენო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე სასადგურო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების მონტაჟი;
- მოახდინოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობათა მტყუნებებათა აღმოფხვრა.

კვალიფიკაციის მინიჭება
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 52,5% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი
პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

“სარკინიგზო გადაზიდვები”

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

„სარკინიგზო გადაზიდვები“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში/
Secondary Vocational Qualification in Railway Operation.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სარკინიგზო გადაზიდვების სპეციალისტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სარკინიგზო გადაზიდვების“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება სარკინიგზო გადაზიდვებთან.

სტრუქტურა და მოდულები

არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 15 კრედიტის ოდენობით; 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ოდენობით, 6 კონცენტრაციის მოდულს 50 კრედიტის ოდენობით

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- აღწეროს კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები;
- დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
- იმუშავოს ლითონურ და არამეტალურ მასალებთან, შეასრულოს საზეინკლო ოპერაციები;
- უზრუნველყოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემო;
- წაიკითხოს ნახაზები და სქემები;
- დაგეგმოს სარკინიგზო გადამზიდავის სამუშაო პროცესი;
- შეასრულოს რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები;
- მიიღოს მონაწილება მატარებლის სადგურში მიღება-გაგზავნის პროცესში;
- მიიღოს მონაწილება რკინიგზის ტრანსპორტზე სატვირთო და კომერციული მუშობის ორგანიზაციაში;
- მიიღოს მონაწილეობა სადგურში სამანევრო მუშაობის ორგანიზებაში.

კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 52,1% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

კოოპერაციული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

“მეჩარხე”

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,მეჩარხე“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ლითონის დამუშავებაში/
Basic vocational qualification in Metal Trades

მიზანი

პროგრამის მიზანია, ლითონის დამუშავების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადების უზრუნველყოფა. „ლითონის დამუშავების სპეციალისტი,“ს კონცენტრაცია - „მეჩარხე“-ს პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ ლითონდამამუშავებელი ჩარხების პროგრამულ მართვას, დეტალების დამუშავებას სახარატო, საფრეზი და სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხებზე. სპეციალისტები ასევე აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

ლითონის დამუშავებაში საბაზო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს, ,,მეჩარხე“-ს მიმართულებით შესაძლებელია დასაქმდეს მანქანათსაშენ საწარმოებში, აგრეთვე ისეთი დარგების საწარმოებში, როგორიცაა: კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, ტრანსპორტი, მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავება, სოფლის მეურნეობა და სხვა დარგები, რომელთა საწარმოო პროცესებში გამოყენებულია მანქანა-დანადგარები, ლითონსაჭრელი ჩარხები. აგრეთვე, მეჩარხეს გააჩნია სამანქანათმშენებლო მიმართულებით თვითდასაქმების შესაძლებლობა.

სტრუქტურა და მოდულები

ლითონის დამუშავებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მიღებისათვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 87 კრედიტი, რომელთაგან 6 მოდული (17 კრედიტი) ზოგადია, 7 მოდული (33 კრედიტი) - არის საერთო პროფესიული, 8 მოდული(37 კრედიტი) - არის კონცენტრაციის მოდული. პროგრამის ხანგრძლივობა - 17 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- დაამზადოს დეტალი პროგრამული მართვის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე;
- დაამზადოს დეტალი სახარატო ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე;
- დაამზადოს დეტალი საფრეზი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე;
- დაამზადოს დეტალი სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე;
- განახორციელოს პროგრამული მართვის, სახარატო, საფრეზი, სახეხი; განახორციელოს ლითონდამამუშავებელ ჩარხების ტექნიკური მომსახურება.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პრეროგატივაა და მის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 86 კრედიტი.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

"შედუღება"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

„შედუღება"

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში/ Secondary Vocational Qualification in Welding

მიზანი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევესაერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება შედუღებაში.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - სრული ზოგადი განათლება;
- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N°IV -100/ა", ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

შედუღების საშუალოპროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიებზე როგორიცაა - შემდუღებლები დააირმჭრელები, რომლებიც ადუღებენ დაჭრიან ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ანსხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა დასფეროში.

სტრუქტურა და მოდულები

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის რაოდენობით. 9 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 32 კრედიტის რაოდენობით. 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 40 კრედიტის რაოდენობით. შედუღებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 79 კრედიტი. სწავლების ხანგრძლივობაა 15 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სწავლის შედეგები საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის შედუღების მიმართულებით:

- შეადუღოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით
- გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად
- შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით
- დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით
- შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით
- შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების,შედუღების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილებისმიზნით
- დაადგინოს დეფექტები და წუნები
- შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე
- უზრუნველყოს შედუღების პროცესების ხარისხიხი
- გამოიყენოს კომპიუტერული ტექნოლოგიები შედუღების პროცესების სამართავად
- გამოიყენოს და გადასცეს ტექნიკური ინფორმაცია
- დაგეგმოს შედუღების პროცესი.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

“შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები”

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

- უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში / Higher Vocational Qualification in Occupational Safety and Environmental Technology

მიზანი

პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს სამუშაოს ნეგატიური ასპექტებისგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმი, შექმნას პირობები ჯანსაღი და ღირსეული საქმიანობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს შრომის დაცვითი ღონისძიებების დანერგვა და მართვა.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერი/სპეციალისტი შეიძლებადასაქმდეს სხვადასხვა სფეროების: მშენებლობის, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, ნავთობისა და გაზის, ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, მძიმე მრეწველობის, სამთო მრეწველობის, საზღვაო პორტების, კომუნიკაციების, ტურიზმის, სარესტორნო, გასართობ, სავაჭრო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში: უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორად/მენეჯერად; შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; დაბინძურების ინსპექტორად; ჯანსაღი სამუშაო გარემოს დაცვის ოფიცერად; შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მრჩეველად; გარემოს დაცვის მრჩეველად; შრომის ჰიგიენის სპეციალისტად/მენეჯერად; ნარჩენების შეგროვების სპეციალისტად; ნარჩენების დამუშავება-მოცილების სპეციალისტად; დაბინძურებისაგან გასუფთავება-ნარჩენების მართვის ინსპექტორად; უსაფრთხოების დაცვის სპაციალისტად/ მენეჯერად; შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სახელმწიფოს შრომისინსპექტირების სამსახურებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სხვადასხვაკერძოდასახელმწიფოსტრუქტურებსადაორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად.

სტრუქტურა და მოდულები

პროფესიულმა სტუდენტმა უნდა გაიაროს ზოგადი სავალდებულო 3 მოდული ჯამური 11 კრედიტის ოდენობით. პროფესიული სავალდებულო 21 მოდული ჯამური 109 კრედიტის ოდენობით. „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვით ტექნოლოგიებში“ პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. პროგრამისხანგრძლივობა - 23 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სწავლის შედეგები შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით

- შეადგინოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოსდაცვითი გეგმა;
- შეიმუშაოს და განაახლოს პროცედურები და ინსტრუქციები;
- შეაფასოს პროფესიული დაზიანებები და აკონტროლოს რისკი;
- შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები;
- დაიცვას ელექტროუსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესები;
- განახორციელოს ევაკუაციის პროცესები;
- გაწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
- გაატაროს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებები;
- აკონტროლოს სამუშაო ადგილზე ადამიანთა და სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილება;
- შეაფასოს გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გავლენა;
- განახორციელოს გარემოსდაცვითი სისტემის აუდიტი და მონიტორინგი;
- დაგეგმოს უსაფრთხო სასმელი წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედება;
- აკონტროლოს წყლის წყაროების დაბინძურება;
- აკონტროლოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ჰაერში გაფრქვევის შემცირება.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 120/150 კრედიტი.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

"საწყობის ოპერირება"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
საწყობის ოპერირება/ Warehousing

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში/ Secondary Vocational Qualification in Warehousing

მიზანი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სასაწყობო მეურნეოებებისთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი ოპერირების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწყობო ოპერაციების კვალიფიციურად შესრულებას როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდურად, პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

კვალიფიკაციის დონე
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო(NQF) - მეოთხე დონე

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
დასაქმების შესაძლებლობებია: საბაჟო, კომერციულ, საავტომობილო, სუპერმარკეტისა და მაცივარ-საწყობებში, ასევე სავაჭრო კომპანიებში, რომლებიც ფლობენ საკუთარ საწყობებს, დისპეტჩერის, მარაგების და სათავსოსთანამშრომლის ან ტვირთის ამწონის თანამდებობაზე.

სტრუქტურა და მოდულები
პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 9 კრედიტის მოცულობით და 8 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის მოცულობით.
კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 18 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სწავლის შედეგები შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით

- აღწეროს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და საწყობის ოპერაციები;
- აღწეროს სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები;
- მიიღოს საქონელი საწყობში;
- განახორციელოს საქონლის ტრანსპორტირება საწყობში;
- დაასაწყობოს საქონელი;
- ააგროვოს საქონელი;
- გასცეს საქონელი საწყობიდან;
- აღრიცხოს საქონელი საწყობში.

კვალიფიკაციის მინიჭება
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩაბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი
პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სს „საქართველოს რკინიგზის" და სს „გუდვილის" ბაზაზე.

"ტვირთების ექსპედირება"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ტვირთების ექსპედირება/ Freight forwarding.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში; Secondary Vocational Qualification in Freight forwarding.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სატვირთო გადაზიდვების სფეროსთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც შეეძლება სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსება; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; ტრანსპორტის სახეების აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა; გადაზიდვების ზედამხედველობა, მონიტორინგი და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ორგანიზება და დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, კურსდამთავრებულები აღჭურვილნი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

კვალიფიკაციის დონე

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო(NQF) - მეოთხე დონე

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

ტვირთების გადამზიდავი ექსპედიტორული და სატრანსპორტო - ლოგისტიკური ფირმები, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოები, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციები, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსები, სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ფირმები, მზა პროდუქციის მსხვილი სადისტრიბუტორო ფირმები, გამანაწილებელი და ლოგისტიკური ცენტრები, საბაჟო ტერმინალური კომპლექსები, საშუამავლო ფირმები.

სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 9 კრედიტის მოცულობით და 7 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის მოცულობით.

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 18 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- აღწეროს ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები;
- აღწეროს ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები;
- დაგეგმოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- მოამზადოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
- განახორციელოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- აკონტროლოს ტვირთის გადაზიდვა;
- აკონტროლოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხი.

კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი:

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სს „საქართველოს რკინიგზის" და სს „გუდვილის" ბაზაზე.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

“რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა” (ინტეგრირებული)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში/ Secondary Vocational Qualification in Electricity;

მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექ[illegible]ამის საფუძველზე შესაძლებელია მომზადდეს კადრი რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ პირს შეუძლიადასაქმდეს რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში და სხვა ნებისმიერორგანიზაციაში, რომელიც აღჭურვილია ელექტრული დანადგარებით, მოწყობილობით და ელექტროგადამცემი ხაზებით.

სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 10 კრედიტის ოდენობით; 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით, 3 საერთო პროფესიულ მოდულს 12 კრედიტის ოდენობით, 11 კონცენტრაციის მოდულს 69 კრედიტის ოდენობით.

სწავლის ხანგრძლივობა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ჩაატაროს რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის სამუშაო გარემოს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებები;
- გაზომოს ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების და დამცავი საშუალებების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრები;
- გაუწიოს რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარებს ტექნიკური მომსახურება;
- ჩაატაროს რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტი;
- ჩაატაროს რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების კაპიტალური რემონტი.

კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50,5% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამაგანხორციელდებასარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

"სარკინიგზო გადაზიდვები" (ინტეგრირებული)



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

„სარკინიგზო გადაზიდვები"

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

- საშუალო საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში/ Secondary Vocational Qualification in Railway Operation.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სარკინიგზო გადაზიდვების სპეციალისტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სარკინიგზო გადაზიდვების" გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება სარკინიგზო გადაზიდვებთან.

სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 10 კრედიტის ოდენობით; 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით, 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ოდენობით, 6 კონცენტრაციის მოდულს 50 კრედიტის ოდენობით

სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- აღწეროს კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები;
- დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
- იმუშავოს ლითონურ და არამეტალურ მასალებთან, შეასრულოს საზეინკლო ოპერაციები;
- უზრუნველყოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემო;
- წაიკითხოს ნახაზები და სქემები;
- დაგეგმოს სარკინიგზო გადამზიდავის სამუშაო პროცესი;
- შეასრულოს რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები;
- მიიღოს მონაწილება მატარებლის სადგურში მიღება-გაგზავნის პროცესში;
- მიიღოს მონაწილება რკინიგზის ტრანსპორტზე სატვირთო და კომერციული მუშობის ორგანიზაციაში;
- მიიღოს მონაწილეობა სადგურში სამანევრო მუშაობის ორგანიზებაში.

კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 52.1% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამაგანხორციელდებასარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის" ბაზაზე.

“რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება” (ინტეგრირებული)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში/
  Secondary Vocational Qualification in Railway Operation.

მიზანი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალ[illegible]ტრალიზაციისა და ბლოკირების სპეციალისტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება;
- საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს რკინიგზის ოპერირების ორგანიზაციებში სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სპეციალისტად.

სტრუქტურა და მოდულები
ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:
ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 10 კრედიტის ოდენობით; 6 ინტეგრირებულ მოდულს30 კრედიტის ოდენობით, 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ოდენობით, 6 კონცენტრაციის მოდულს 50 კრედიტის ოდენობით
სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები
კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- აღწეროს კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები;
- დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
- იმუშავოს ლითონურ და არამეტალურ მასალებთან, შეასრულოს საზეინკლო ოპერაციები;
- უზრუნველყოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სარკინიგზო ტრანსპორტზეუსაფრთხო სამუშაო გარემო;
- წაიკითხოს ნახაზები და სქემები;
- დაგეგმოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სპეციალისტის სამუშაო პროცესი;
- გამოიყენოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებში მიკროპროცესორული, ელექტრონული და ელექტრული ტექნიკა;
- შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე საგადასარბენო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე სასადგურო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების მონტაჟი;
- მოახდინოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობათა მტყუნებებათა აღმოფხვრა.

კვალიფიკაციის მინიჭება
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 52,5% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი
პროგრამაგანხორციელდებასარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

“სავაგონო მეურნეობა”
(ინტეგრირებული)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
,,სავაგონო მეურნეობა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

- საშუალო საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიან ტრანსპორტში/ Secondary Vocational Qualification in Rail Motor vehicles

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის სპეციალისტები, რომელთა საქმიანობის სფეროა ვაგონების მომსახურება.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სავაგონო მეურნეობა“ გავლის შემდეგ - ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის მომსახურებასთან. კერძოდ, რკინიგზაში, მეტროპოლიტენში და ვაგონ მშენებელ ქარხნებში.

სტრუქტურა და მოდულები:
ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:
ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 10 კრედიტის ოდენობით; 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით, 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ოდენობით, 6 კონცენტრაციის მოდულს 50 კრედიტის ოდენობით.
სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- გამოხაზოს დეტალები და სქემები ზომებსა და მასშტაბში;
- გაიანგარიშოს ელექტრომოწყობილობებისა და დანადგარების ძირითადი პარამეტრები;
- უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებზე მუშაობისას
- შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები;
- შეამოწმოს/შეაკეთოს რეფრიჟერატორული მოძრავი შემადგენლობა;
- შეამოწმოს/შეაკეთოს სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილები;
- შეამოწმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილები;
- შეამოწმოს/შეაკეთოს ვაგონის ძარის და დამრტყმელ–საწევი მოწყობილობები;
- შეამოწმოს/შეაკეთოს სამუხრუჭე მომწყობილობები;
- შეამოწმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობები;
- შეამოწმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონების ელექტროდანადგარები და ელექტრომოწყობილობები.

კვალიფიკაციის მინიჭება
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 51% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი
პროგრამაგანხორციელდებასარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ანონსი

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

"საწყობის ოპერირება"

ანონსი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,საწყობის ოპერირება".

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში/
Secondary Vocational Qualification in Warehousing.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სასაწყობო მეურნეოებებისთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი ოპერირების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწყობო ოპერაციების კვალიფიციურად შესრულებას როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდურად, პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება;
- საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს: საბაჟო, კომერციულ, საავტომობილო, სუპერმარკეტისა და მაცივარ-საწყობებში, ასევე სავაჭრო კომპანიებში, რომლებიც ფლობენ საკუთარ საწყობებს, დისპეტჩერის, მარაგების და სათავსოსთანამშრომლის ან ტვირთის ამწონის თანამდებობაზე.

სტრუქტურა და მოდულები:

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:
ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს30 კრედიტის ოდენობით და 8 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის მოცულობით.
კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 118 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 20 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- აღწეროს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და საწყობის ოპერაციები;
- აღწეროს სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები;
- მიიღოს საქონელი საწყობში;
- განახორციელოს საქონლის ტრანსპორტირება საწყობში;
- დაასაწყობოს საქონელი;
- ააგროვოს საქონელი;
- გასცეს საქონელი საწყობიდან;
- აღრიცხოს საქონელი საწყობში.

კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სს „საქართველოს რკინიგზის" და სს"გუდვილის" ბაზაზე.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ტვირთების ექსპედირება"

ანონსი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

"ტვირთების ექსპედირება"

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში/
Secondary Vocational Qualification in Freight forwarding.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სატვირთო გადაზიდვების სფეროსთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც შეეძლება სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსება; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; ტრანსპორტის სახეების აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა; გადაზიდვების ზედამხედველობა, მონიტორინგი და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ორგანიზება და დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, კურსდამთავრებულები აღჭურვილნი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

- სრული ზოგადი განათლება;
- საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

დასაქმების შესაძლებლობებია: ტვირთების გადამზიდავი ექსპედიტორული და სატრანსპორტო - ლოგისტიკური ფირმები, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოები, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციები, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსები, სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ფირმები, მზა პროდუქციის მსხვილი სადისტრიბუტორო ფირმები, გამანაწილებელი და ლოგისტიკური ცენტრები, საბაჟო ტერმინალური კომპლექსები, საშუამავლო ფირმები.

სტრუქტურა და მოდულები:

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:
ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს30 კრედიტის ოდენობით და 7 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის მოცულობით.
კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 118 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 20 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- აღწეროს ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები;
- აღწეროს ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები;
- დაგეგმოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- მოამზადოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
- განახორციელოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- აკონტროლოს ტვირთის გადაზიდვა;
- აკონტროლოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხი.

კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სს „საქართველოს რკინიგზის" და სს"გუდვილის" ბაზაზე.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
სწავლა
სრულად ფინანსდება
სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ვაუჩერული
დაფინანსების ფარგლებში.

მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები

მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამები:

- ტექნიკური ნახაზების მხაზველი;
- ელექტრო შემდუღებლი ;
- გეოდეზიური სამუშაოების შესრულება;
- ვაგონების მსინჯველი;
- ლიანდაგის მონტიორი;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ტექნიკოსი;
- მატარებლის შემდგენელი;
- ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა;
- საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი;
- ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი;

მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამები:

- არგონ-რკალური შემდუღებელი;
- დეფექტებისა და დაზიანებების ვიზუალური გამოვლენა ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტებში;
- ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე;
- ლიანდაგის დეფექტოსკოპისტი;
- რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი;
- სადგურის მორიგე;
- სადგურის დისპეტჩერი;

“ტექნიკური ნახაზების მხაზველი”

პროგრამის სახელწოდება:
ტექნიკური ნახაზების მხაზველი;

პროგრამის სახე:
პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
9 კვირა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
საბაზო განათლება;

პროგრამის მიზნები:
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია არქიტექტურული, სამშენებლო და კონსტრუქციული ნახაზების აგების პროცესის აღწერა, ნახაზების რედაქტირება, ნახაზების ანოტირება, სახვადასხვა ტიპის ფაილის გამოყენება და საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა ,,AutoCad”-ის პროგრამის გამოყენებით.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

- გეომეტრიული ფიგურების ორთოგონალური გეგმილების დახასიათება;
- გეგმილური ნახაზის აგება;
- ნახაზის აგების პროცესის აღწერა;
- ნახაზის რედაქტირება;
- ნახაზის ანოტირება, სტილების შექმნა;
- ფაილებზე სხვადასხვა სახის მოქმედებები;
- საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება.

პროგრამის მოკლე აღწერა:
ტექნიკური ნახაზების მხაზველის ძირითადი მოვალეობაა შეასრულოს საინჟინრო ნახაზი და შეადგინოს საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაცია კომპიუტერული პროგრამა ,,AutoCad”-ის გამოყენებით.

“საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი“

პროგრამის სახელწოდება:
საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი

პროგრამის სახე:
პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
8 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
სრული ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზნები:
მოამზადოს მსმენელი საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტად, რომელიც შეძლებს ტვირთის კლასიფიცირებას, ტვირთის მიღებას საწყობში, სათავსოში შენახვას, ტვირთის გაცემას საწყობიდან და სასაწყობო დოკუმენტებთან მუშაობას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- ლოგისტიკის მნიშვნელობის გაცნობიერება;
- უსაფრთხო სამუშაო გარემო ლოგისტიკის ობიექტებზე;
- ტვირთის მიღება საწყობში;
- ტვირთის შენახვა სათავსოში;
- ტვირთის გაცემა საწყობიდან;
- სასაწყობო დოკუმენტების დამუშავება.

"არგონ-რკალური შემდუღებელი"

პროგრამის სახელწოდება:
არგონ-რკალური შემდუღებელი

პროგრამის სახე:
პროფესიული გადამზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
12 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
- სრული ზოგადი განათლება;
- მინიმუმ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება სამრეწველო სარკინიგზო სფეროში.

პროგრამის მიზნები:
გადაამზადოს მსმენელი არგონ-რკალური (TIG) შედუღების სპეციალისტად, რომელიც შეიძენს იმ უნარებს, რაც სჭირდება მასალების მოსამზადებლად შესადუღებლად და/ან ასაწყობად, ვოლფრამის ინერტული აირის (TIG) შედუღების პროცესურების სპეციფიკაციების უსაფრთხო გამოყენების ტექნოლოგიებს, მშრალი ჰიპარბარიული შედუღების პროცედურების ჩატარებას, მშრალი ჰიპარბარიული შედუღების მეთოდების სპეციფიკაციებისა და ტექნიკის გამოყენების ადგილების შემოწმებისა და მათი დადგენის მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):
- მასალების მონიშვნა დასაჭრელად;
- მასალების დაჭრის პროცედურების გამოყენება შედუღების პროცესთვის მზადებაში;
- მაგიდასთან მუშაობის უსაფრთხო პრაქტიკის გამოყენების დემონსტრირება;
- კომპონენტების მომზადება შედუღების პროცესისთვის;
- მექანიკური ჭრის დანადგარებით მასალის დაჭრა;
- გადასატანი თერმული და აირული დანადგარებით მასალის დაჭრა;
- მაკრატლების და საჭრელი დაზგის გამოყენებით მასალის ჭრა;
- პლაზმური აირის ჭრის მოწყობილობების გამოყენება მასალების დასაჭრელად და ფორმის მისაცემად;
- ვოლფრამის ინერტული აირის (TIG) შედუღების ტექნიკების უსაფრთხოდ გამოყენება;
- ვოლფრამის ინერტული აირის (TIG) შედუღების პროცედურების სპეციფიკაციების გამოყენება;
- ვოლფრამის ინერტული აირის (TIG) შედუღების ტექნიკების გამოყენებით სტანდარტული პროცედურები;
- შედუღების ადგილების შემოწმება და მათი შესაბამისობის დადგენა მოთხოვნებთან;
- მშრალი ჰიპარბარიული შედუღების პროცედურების ჩატარება;
- მშრალი ჰიპარბარიული შედუღების მეთოდების სპეციფიკაციების გამოყენება;
- მშრალი ჰიპარბარიული შედუღების ტექნიკის გამოყენება;
- შედუღების ადგილების შემოწმება და მათი შედარება მოთხოვნებთან.

"დეფექტებისა და დაზიანებების ვიზუალური გამოვლენა ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტებში"

პროგრამის სახელწოდება:
დეფექტებისა და დაზიანებების ვიზუალური გამოვლენა ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტებში

პროგრამის სახე:
პროფესიული გადამზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
7 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
- სრული ზოგადი განათლება;
- მინიმუმ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება სამრეწველო სარკინიგზო სფეროში.

პროგრამის მიზნები:
გამოვლენის სპეციალისტად ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტებში, რომელიც შეიძენს იმ უნარებს, რაც სჭირდება ლიანდაგის ზედა ნაშენის სრულ მონიტორინგს.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- რელსებისა და ისრული გადამყვანის ლითონის ელემენტების დეფექტების დახასიათება;
- რელსებსა და ისრულ გადამყვანებში დეფექტების და დაზიანებების გაზომვა-კონტროლის წესების აღწერა;
- ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტებში დეფექტების ვიზუალური გამოვლენის წესების განმარტება;
- რელსებში სარელსო საპირაპირე და შუალედურ სამაგრებში დეფექრების და დაზიანებების გამოვლენა ვიზუალური დათვალიერებით;
- ისრული გადამყვანის ლითონის ელემენტებშსა და რელსქვეშა საფუძველში დეფექტების, დაზიანე-ბების გამოვლენა ვიზუალური დათვალიერებით;
- რელსების და ისრული გადამყვანების ლითონის ელემენტების დეფექტების და დაზიანებების კლასიფიცირება;
- რელსების და ისრული გადამყვანების ლითონის ელემენტების დეფექტების და დაზიანებების გადამოწმება- ნიშანდება.

"ელექტრო შემდუღებელი"

პროგრამის სახელწოდება:
ელექტრო შემდუღებელი

პროგრამის სახე:
პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
11 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
- სრული ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზნები:
მოამზადოს მსმენელი ელექტრო შედუღების სპეციალისტად, რომელიც შეიძენს იმ უნარებს, რაც სჭირდება მასალების მოსამზადებისთვი შესადუღებლად და/ან ასაწყობად.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):
- მასალების მონიშვნა დასაჭრელად;
- მასალების დაჭრის პროცედურების გამოყენება შედუღების პროცესთვის მზადებაში;
- მაგიდასთან მუშაობის უსაფრთხო პრაქტიკის გამოყენების დემონსტრირება;
- კომპონენტების მომზადება შედუღების პროცესისთვის;
- მექანიკური ჭრის დანადგარებით მასალის დაჭრა;
- გადასატანი თერმული და აირული დანადგარებით მასალის დაჭრა;
- მაკრატლების და საჭრელი დაზგის გამოყენებით მასალის ჭრა;
- პლაზმური აირის ჭრის მოწყობილობების გამოყენება მასალების დასაჭრელად და ფორმის მისაცემად;
- ადუღებს დეტალებს კონსტრუქციებად;
- თვისებების გაუმჯობესების მიზნით დეტალების დამუშავება;
- პროდუქტის აწყობის პროცესების მართვა;
- მეტალის აქტიური აირით (MAG) და მეტალის პასიური აირით (MIG) შედუღების ტექნიკების გამოყენება;
- მეტალის აქტიური აირით (MAG) და მეტალის პასიური აირით (MIG) შედუღების ტექნიკებისთვის საჭირო მოწყობილობების გამოყენება;
- შედუღების ადგილების შემოწმება და მათი შედარება მოთხოვნებთან.

“გეოდეზიური სამუშაოების შესრულება “

პროგრამის სახელწოდება:
გეოდეზიური სამუშაოების შესრულება

პროგრამის სახე:
პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
8 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზნები:
მოამზადოს მსმენელი გეოდეზისტის უნარების შესაძენად და აზომვითი სამუშაოების შესასრულებლად.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- გეომეტრიული ფიგურების ორთოგონალური გეგმილების დახასიათება.
- გეგმილური ნახაზის აგება
- მარტივი სამშენებლო ნახაზის აგება
- ტოპოგრაფიული რუკების და გეგმების კითხვა.
- ტრასის დაკვალვა ინსტრუმენტებს გამოყენებით.
- გეომეტრიულ ნიველირებაში ინსტრუმენტების გამოყენება.

“ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“

პროგრამის სახელწოდება:
ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი

პროგრამის სახე:
პროფესიული გადამზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
12 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლება;
- ლიფტების ტექნიკოსად/ელექტრიკოსად მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

პროგრამის მიზნები:
პროფესიული გადამზადების პროგრამის მიზანია ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების მქონე კადრების გადამზადება, რომლებიც შეძლებენ ლიფტების ტექნიკურ და სამრეწველო ექსპლუატაციას, მზა დეტალებისგან კვანძების და ნაკეთობების დაშლა-აწყობას, ნაკეთობების გამართვას, რეგულირებას, გაშვებას, რემონტს და მოდერნიზაციას, მწყობრიდან გამოსული დეტალების, კვანძების, მექანიზმების აღდგენას, დიაგნოსტიკას და გამოცდას, მათ შემდგომ ექსპლუატაციას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- ლიფტებისუსაფრთხო ექსპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტის აღწერა, ლიფტის ტექნიკური მახასიათებლები და მათი კლასიფიკაცია;
- ლიფტების უსაფრთხოების კომპონენტების გამართვა;
- ლიფტების მუშა რეჟიმში ჩართვა;
- ლიფტების ტექნიკური მომსახურება;
- ლიფტების დიაგნოსტირება, შეკეთება, დემონტაჟი-მონტაჟი.
- შრომის, სახანძრო, ელექტროუსაფრთხოების საკითხების გაანალიზება.

“მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე “

პროგრამის სახელწოდება:
მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო

პროგრამის სახე:
პროფესიული გადამზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
10 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლება;
- სარკინიგზო მიმართულებით მინიმუმ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება;

პროგრამის მიზნები:
მსმენელთა გადამზადება, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს სამუშაოს ნეგატიური ასპექტებისგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმები, შექმნას პირობები ჯანსაღი, უსაფრთხო და ღირსეული საქმიანობისთვის.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა;
- სამუშაო ადგილზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;
- შრომითი უსაფრთხოების ნორმების დაცვა სამუშაო მოედანზე;
- გარემოს დაცვითი ნორმების დაცვა;
- პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა;
- მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სცბ–ს მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოებისას;
- მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის დროს;
- შემადგენლობათა დაშლისა და სამანევრო მოძრაობათა უსაფრთხოების უზრუნველყოფა გორაკის მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების წარმოებისას;
- მატარებელთა მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ორგანიზაციის განსაზღვრა სიგნალიზაციის ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების შესრულებით.

"ვაგონების მსინჯველი"

პროგრამის სახელწოდება:
ვაგონების მსინჯველი

პროგრამის სახე:
პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
12 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
- სრული ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზნები:
ვაგონების ხარისხიანი გასინჯვა-შეკეთება სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და პუნქტის მუშაობის ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისადდა მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის, მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის უზრუნველყოფის, სახელმძღვანელო დოკუმენტების და მუშაობის ტექნოლოგიური პროცესის მოთხოვნების შესრულების მიზნით.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- ვაგონის ძარის და დამრტყმელ - საწევი მოწყობილობების შემოწმება/შეკეთების სამუშაოს ორგანიზების აღწერა;
- ვაგონის ძარის და დამრტყმელ - საწევი მოწყობილობების შემოწმება;
- ვაგონის ძარის და დამრტყმელ–საწევი მოწყობილობების შეკეთება;
- სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმება/შეკეთების სამუშაოს ორგანიზების აღწერა;
- სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება/ შეკეთების სამუშაოს ორგანიზება;
- სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმება;
- სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმება-შეკეთების სამუშაოს ორგანიზების აღწერა;
- სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება/შეკეთების სამუშაოს ორგანიზება;
- სამუხრუჭე მოწყობილობების შემოწმება/შეკეთების აღწერა;
- სამუხრუჭე მოწყობილობის შემოწმება;
- სამუხრუჭე მოწყობილობის შეკეთება.

“ლიანდაგის დეფექტოსკოპისტი“

პროგრამის სახელწოდება:
ლიანდაგის დეფექტოსკოპისტი

პროგრამის სახე:
პროფესიული გადამზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
24კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- საბაზო განათლება;
- მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება აღნიშნულ სფეროში ან სალიანდაგო მიმართულების კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

პროგრამის მიზნები:
გადაამზადოს მსმენელი ულტრაბგერითი დეფექტოსკოპისტის სპეციალისტად, რომელიც შეიძენს იმ უნარებს, რაც სჭირდება ლიანდაგში არსებული შესაძლო ტექნიკური გაუმართაობების დროულ გამოვლენას და პრევენციას. სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ შეისწავლონ სპეციალური დიაგნოსტიკური მოწყობილობებისა და მზომი ხელსაწყოების გამოყენებით ლიანდაგის პარამეტრების გადახრების დადგენა, ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტებში დაზიანებების და დეფექტების გამოვლენა.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- სარელსო დეფექტოსკოპისტის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზების წესების განმარტება;
- დეფექტოსკოპების გამართულობის შემოწმება;
- ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტებში დეფექტების ვიზუალური გამოვლენის წესების განმარტება;
- რელსებში, სარელსო საპირაპირე და შუალედურ სამაგრებში დეფექტების და დაზიანებების გამოვლენა ვიზუალური დათვა-ლიერებით;
- ისრული გადამყვანის ლითონის ელემენტებსა და რელსქვეშა საფუძველში დეფექტების, დაზიანებების გამოვლენა ვიზუა-ლური დათვალიერებით;
- სალიანდაგო მექანიზმების და სამუშაო იარაღების გამართულობის შემოწმება;
- სამუშაო ადგილის სასიგნალო ნიშნებით შემოფარგლვა;
- რკინიგზის მშენებელის კომპეტენციის ფარგლებში შრომის და მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- რელსების და სამაგრების მდგომარეობის შეფასება;
- შპალების და ბალასტის მდგომარეობის შეფასება;
- ისრული გადამყვანის მდგომარეობის შეფასება;
- რელსებისა და ისრული გადამყვანის ლითონის ელემენტების დეფექტების დახასიათება;
- რელსების და ისრული გადამყვანების ლითონის ელემენტების დეფექტების და დაზიანებების კლასიფიცირება;
- რელსების და ისრული გადამყვანების ლითონის ელემენტების დეფექტების და დაზიანებების გადამოწმება- ნიშანდება;
- რელსებშიდეფექტების და დაზიანებების აღწერა სარელსო დეფექტოსკოპის გამოყენებით;
- რელსებსა და ისრულ გადამყვანებში დეფექტების და დაზიანებების გაზომვა-კონტროლის წესების აღწერა;
- რელსებში დეფექტების და დაზიანებების გამოვლენა ულტრაბგერითი სარელსო დეფექტოსკოპით
- რელსებში გამოვლენილი დეფექტების და დაზიანებების დამაზუსტებელი კონტროლი ხელის მაძიებლებით;
- რელსებში გამოვლენილი დეფექტების და დაზიანებების დეტალური გამოკვლევა-შესწავლა;
- რელსების დეფექტების და დაზიანებების გამოვლენა - რეგისტრაცია - ექსპრესგაშიფვრა;
- ულტრაბგერითი სარელსო დეფექტოსკოპების ტექნიკური მომსახურება-შეკეთების წესების აღწერა.

“ლიანდაგის მონტიორი“

პროგრამის სახელწოდება:
ლიანდაგის მონტიორი

პროგრამის სახე:
პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
8 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
- საბაზო განათლება;

პროგრამის მიზნები:
მოამზადოს ლიანდაგის მონტიორი, რომელიც კვალიფიციურად შეძლებენ რკინიგზის ლიანდაგების მშენებლობას, მომსახურებას, არსებული ლიანდაგების მოვლა–შენახვას, რემონტს.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):
- რელსების კონსტრუქციის დახასიათება;
- ისრული გადამყვანების კონსტრუქციის დახასიათება
- რკინიგზის მშენებელისსამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზებისის პროცესის დახასიათება
- ლიანდაგის და ისრული გადამყვანის გრძივ პროფილსა და თარაზოში გასწორება;
- ლიანდაგის გეგმაში გასწორება (რეხტირება);
- საპირაპირო ღრეჩოების რეგულირება;
- ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტების შეცვლა;
- ტემპერატურული დაძაბულობის განმუხტვა უპირაპირო ლიანდაგის სარელსო წნულებში.

"რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი"

პროგრამის სახელწოდება:
რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი

პროგრამის სახე:
პროფესიული გადამზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
12 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
- სრული ზოგადი განათლება;
- შესაბამის დარგში მინიმუმ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება.

პროგრამის მიზნები:
პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს სფეროში არსებული კადრების გადამზადებას დროის მოკლე პერიოდში. შემდგომში უკვე, რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტს ეცოდინება, რკინიგზის ტრანსპორტზე სცბ-ს მოწყობილებებისთვის - სიგნალების და ისრების მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის სისტემის ფუნქციები/შესაძლებლობები და საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი კოგნიტური და პრაქტიკული უნარების გამოყენება სარკინიგზო ტრანსპორტის მართვისას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):
- მიკროპროცესორის გამოყენების განსაზღვრა რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის ,ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებში;
- ინფორმატიკის გამოყენება სარკინიგზო ტრანსპორტის მართვისას;
- გეგმა–გრაფიკის მიხედვით სამუშაო დღის დაგეგმვის განსაზღვრა;
- გეგმა–გრაფიკის მიხედვით სამუშაო დღის დაგეგმვა;
- სამუშაო აღჭურვილობისა და დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობის განსაზღვრა;
- სამუშაო აღჭურვილობისა და დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურებისა და მიმდინარე რემონტის აღწერა;
- სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების ჩატარება;
- სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა მიმდინარე რემონტის ჩატარება;
- სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურებისა და მიმდინარე რემონტის განსაზღვრა;
- სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების ჩატარება;
- სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა მიმდინარე რემონტის ჩატარება

"სადგურის მორიგე"

პროგრამის სახელწოდება:
სადგურის მორიგე

პროგრამის სახე:
პროფესიული გადამზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
8 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლება;
- სადგურის მორიგის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო ცნობა აღნიშნულ სფეროში.

პროგრამის მიზნები:
გადაამზადოს მსმენელი რკინიგზის სადგურის მორიგის სპეციალისტად, რომელიც შეიძენს იმ უნარებს, რაც სჭირდება სადგურში მატარებლების მიღების, გაგზავნის, გატარების და სამანევრო მუშაობის უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზებას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- რკინიგზის სადგურები და მათი მუშაობის ტექნოლოგიების აღწერა;
- მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციის აღწერა.
- მატარებლის მიღების წესებისა და პროცედურების აღწერა;
- მატარებლის გაგზავნის წესებისა და პროცედურების აღწერა;
- მატარებლის მიღება;
- მატარებლის გაგზავნა;
- მატარებლის მიღება/გაგზავნა არასტანდარტულ სიტუაციაში;
- სამეურნეო მატარებლების და სპეციალური თვითმავალი სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის მოძრაობის ორგანიზება რკინიგზის ლიანდაგებზე და ხელოვნურ ნაგებობებზე სამუშაოების წარმოებისას.

"სადგურის დისპეტჩერი"

პროგრამის სახელწოდება:
სადგურის დისპეტჩერი

პროგრამის სახე:
პროფესიული გადამზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
12 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლება;
- სადგურის სამანევრო დისპეტჩერისდამადასტურებელი დოკუმენტი ან მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო ცნობა აღნიშნულ სფეროში.

პროგრამის მიზნები:
გადაამზადოს მსმენელი რკინიგზის სადგურის სამანევრო დისპეტჩერის სპეციალისტად, რომელიც შეიძენს იმ უნარებს, რაც სჭირდება სადგურში სამანევრო მუშაობის უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზებას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- სარკინიგზო გადამზიდავის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზების განსაზღვრა;
- საჭირო ინვენტარის/ ხელსაწყოების განსაზღვრა/ აღჭურვა და მათი გამართულობის შემოწმება;
- ინსტრუმენტების და ხელსაწყოების ადგილზე უზრუნველყოფა და სამუშაო ადგილზე შესაბამისი პირობების შექმნა
- სამანევრო მუშაობის ძირითადი ცნებების და დებულებების აღწერა;
- სამანევრო ოპერციების შესრულება;
- მატარებლის განფორმირება-ფორმირების პროცესის აღწერა;
- მატარებლების ფორმირება-განფორმირება;
- მისასვლელ ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება-გამოტანის პროცესის აღწერა;
- მისასვლელ ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება-გამოტანა.

“რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ტექნიკოსი“

პროგრამის სახელწოდება:
რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ტექნიკოსი

პროგრამის სახე:
პროფესიული მომზადება;;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
24 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
- სრული ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზნები:
კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტროობაში. პროგრამის საფუძველზე შესაძლებელია მომზადდეს კადრი რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში და სხვა ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელიც აღჭურვილია ელექტრული დანადგარებით, მოწყობილობით და ელექტროგადამცემი ხაზებით.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):
- მატარებლების გაფრთხილების გაცემისა და აღრიცხვის წესის განსაზღვრა
- მატარებლების გაფრთხილების გაცემა;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმების პრინციპების განსაზღვრა;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმება
- მუდმივი დენის წრედის პარამეტრების გაზომვა;
- ტევადობის და გამტარობის საფუძვლების პარამეტრების გამოთვლა;
- ცვლადი დენის პარამეტრების გამოთვლა;
- სარკინიგზო საკონტაქტო ქსელის პარამეტრების გაზომვითი სამუშაოების შესრულება;
- მაღალი და დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების პარამეტრების გაზომვის სამუშაოების წარმოება;
- სარკინიგზო დამცავი საშუალებები და მათი გაზომვების წესების განსაზღვრა;
- სარკინიგზო დამცავი საშუალებების გაზომვის წარმოება;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების ტექნიკური მომსახურების წესები და ნორმების განსაზღვრა;
- რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ტექნიკურ მომსახურების წესებისა და ნორმების განსაზღვრა;
- რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ტექნიკური მომსახურება;
- რკინიგზის წევის ქვესადგურებისა და ელექტრომომარაგების რაიონის ტექნიკური მომსახურების წესების განსაზღვრა;
- რკინიგზის წევის ქვესადგურებისა და ელექტრომომარაგების რაიონის ტექნიკური მომსახურება;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა მიმდინარე რემონტის წესის განსაზღვრა;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტის დაგეგმვა;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების ტექნიკური მომსახურება;
- სარკინიგზო წევის ქვესადგურებისა და ელექტრომომარაგების რაიონის მიმდინარე რემონტის წარმოების წესი განსაზღვრა;
- სარკინიგზო წევის ქვესადგურებისა და ელექტრომომარაგების რაიონის მიმდინარე რემონტის წარმოება;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა მიმდინარე რემონტის შესრულებისათვის სამუშაო მასალების, ინსტრუმენტებისა და დამცავი საშუალებების შერჩევა;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა-დანადგარების სადეფექტო აქტის შედგენის წესების განსაზღვრა;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა-დანადგარების სადეფექტო აქტის შედგენა;
- რკინიგზის საკონტაქტო ქსელის კაპიტალური რემონტის წარმოების წესის განსაზღვრა
- რკინიგზის საკონტაქტო ქსელის კაპიტალური რემონტის წარმოება;
- სარკინიგზო წევის ქვესადგურებისა და ელექტრომომარაგების რაიონის კაპიტალურ რემონტის წარმოების წესის განსაზღვრა;
- სარკინიგზო წევისქვესადგურებისა და ელექტრომომარაგების რაიონის კაპიტალური რემონტის წარმოება;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა-დანადგარების კაპიტალური რემონტის შესრულებისათვის სამუშაო მასალების ინსტრუმენტებისა და დამცავი საშუალებების შერჩევა.

"მატარებლის შემდგენელი"

პროგრამის სახელწოდება:
მატარებლის შემდგენელი

პროგრამის სახე:
პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
8 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
- სრული ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზნები:
პროგრამის მიზანი: მოამზადოს მსმენელი სარკინიგზო ტრანსპორტზე მატარებლის შემდგენელის სპეციალისტად, რომელიც შეიძენს იმ უნარებს, რაც სჭირდება სადგურში მატარებლების სამანევრო მუშაობის უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზებას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):
- სამანევრო მუშაობის ძირითადი ცნებების და დებულებების აღწერა;
- სამანევრო ოპერაციების შესრულება;
- მატარებლის განფორმირება-ფორმირების პროცესის აღწერა;
- მატარებლების ფორმირება-განფორმირაბა;
- მისასვლელ ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება-გამოტანის პროცესის აღწერა;
- მისასვლელ ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება-გამოტანა.

“ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა”

პროგრამის სახელწოდება:
ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა

პროგრამის სახე:
პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
15 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
- საბაზო განათლება;

პროგრამის მიზნები:
პროგრამის მიზანია ლითონის დამუშავების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადების უზრუნველყოფა. მოკლევადიანი პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ ლითონდამამუშავებელი ჩარხების პროგრამულ მართვას, დეტალების დამუშავებას სახარატო, საფრეზი და სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხებზე.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):
- საკონსტრუქციო და საიარაღო მასალების დახასიათება;
- საჭრისების კონსტრუქციის და გეომეტრიის აღწერა;
- ბურბუშელის წარმოქმნის პროცესის აღწერა;
- სახარატების ჭრის რეჟიმების შერჩევის მეთოდიკის აღწერა;
- ბურღვის, ზენკერების, და განშლის პროცესის აღწერა;
- ფრეზვის პროცესის და საფრეზი ინსტრუმენტების აღწერა;
- ხრახნწარმოქმნის პროცესის და ხრახნსაჭრელი ინსტრუმენტების აღწერა;
- კბილწარმოქმნის პროცესის და კბილსაჭრელი ინსტრუმენტების აღწერა;
- აბრაზიული დამუშავების პროცესის და აბრაზიული ინსტრუმენტების ღწერა;
- დეტალის დამუშავება უნივერსალურ სახარატო-ხრახნსაჭრელ ჩარხზე;
- დეტალის დამუშავება სახარატო-რევოლვერულ ჩარხზე;
- დეტალის დამუშავება ზურგსახარატო ჩარხზე;
- სახარატო ჯგუფის ლითონდამამუშავებელი ჩარხების ტექნიკური მომსახურება;
- დამზადებული დეტალების სიზუსტისა და ზედაპირების დამუშავების ხარისხის შემოწმება;
- დეტალების დამუშავება უნივერსალურ საფრეზ ჩარხზე;
- დეტალის დამუშავება სარანდ ჩარხზე;
- დეტალის დამუშავება სატეხ ჩარხზე;
- დეტალების დამუშავება პირგადასაღებ-საფრეზ ჩარხზე;
- დეტალის დამუშავება კბილსაფრეზ ჩარხზე;
- დეტალის დამუშავება კბილსატეხ ჩარხზე;
- დეტალის დამუშავება ბრტყლად-სახეხ ჩარხზე;
- დეტალის დამუშავება მრგვლად-სახეხ ჩარხზე;
- დეტალის დამუშავება შიგსახეხ ჩარხზე;
- დეტალის დამუშავება უცენტრო სახეხ ჩარხზე;
- დეტალის დამუშავება საჰონინგე ჩარხზე;
- დეტალის დამუშავება სალეს ჩარხზე.

“საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი”

პროგრამის სახელწოდება:
ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა

პროგრამის სახე:
პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
15 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
- სრული ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზნები:
მოამზადოს მსმენელი საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტად, რომელიც შეძლებს ტვირთის კლასიფიცირებას, ტვირთის მიღებას საწყობში, სათავსოში შენახვას, ტვირთის გაცემას საწყობიდან და სასაწყობო დოკუმენტებთან მუშაობას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):
- საწყობში საქონლის მიღება;
- მიღებული საქონლის შემოწმება;
- საქონლის დასაწყობება;
- ტვირთების დაცულობის უზრუნველყოფა;
- საქონლის გასაცემად მომზადება;
- საქონლის დატვირთვა;
- ტვირთის გაცემის დოკუმენტაციის წარმოება;
- საწყობში განთავსებული საქონლის აღრიცხვა;
- ანგარიშგების წარმოება.

"ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი"

პროგრამის სახელწოდება:
ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი

პროგრამის სახე:
პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
8 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლება;
-

პროგრამის მიზნები:
მსმენელებმა შეისწავლონ სატრანსპორტო ლოგისტიკურ ჯაჭვში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლის, ტვირთების გადაზიდვის კონტროლის ძირითადი მექანიზმები. გაეცნონ ტვირთის და სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგის სისტემებს, მიკვლევადობისთვის საჭირო ელექტრონული მოწყობილობებისა და საკომუნიკაციო საშუალებების ტექნიკურ მახასიათებლებს, ტრანსპორტირების გრაფიკის შედგენის, მისი შესრულების კონტროლის წესებსა და მეთოდებს, ტვირთის დაზღვევის სახეებსა და პირობებს, ასევე რეკლამაციების დამუშავების მეთოდებსა და ადმინისტრირების წესს, ტვირთის შეფერხების პრევენციული ღონისძიებების ჩატარების თანმიმდევრობას. პრაქტიკული ცოდნა მიიღონ ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების მიკვლევადობაში, მომხმარებელთან და სადაზღვევო კომპანიებთან კომუნიკაციის მართვაში, ტვირთების გადაზიდვის შეფერხების შემთხვევაში საინფორმაციო საშუალებების გამოყენებაში, მძღოლების სამუშაო გრაფიკის შესრულების კონტროლსა და სადაზღვევო დოკუმენტაციის მომზადებაში. მოკლევადიანი პროგრამის ფარგლებში, მსმენელები შეიძენენ ტვირთის გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტისთვის საჭირო ყველა აუცილებელ უნარს და საბაზისო ცოდნას, საჭიროს შრომის ბაზარზე დასაქმებისთვის.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

- 1.ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების მიკვლევადობა;
- სადაზღვევო დოკუმენტაციის შედგენა.

სასწავლო გარემო

კოლეჯი აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პრაქტიკული სწავლების სახელოსნოებით, ლოკომოტივისა და ელექტრომოძრავი შემადგენლობის თანამედროვე სიმულატორებით, სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სასწავლო ტრენაჟორებით, სალიანდაგო სასწავლო პოლიგონით, თანამედროვე ტექნოლოგიებით.
კოლეჯის შენობა სრულად ადაპტირებულია ინკლუზიური სწავლების სტანდარტების მიხედვით, სსსმდა შშმ პირთა მოთხოვნების შესაბამისად.

ადამიანური რესურსების განვითარება

კოლეჯში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, 2019 წლის 9 სექტემბრიდან - 29 სექტემბრის ჩათვლით, ჩატარდა მენტორ-ინსტრუქტორთა ტრენინგი, რომელსაც წარუძღვნენ DB Training, Learning & Consulting-ის დუალური სწავლების მეთოდოლოგიის გამოცდილი ტრენერები.
პროფესიული განვითარების მიზნით კოლეჯში ჩატარდა ტრენინგები თემაზე: „პროფესიული მასწავლებლების ტრენინგი პროგრამის დუალური მეთოდით სწავლებისთვის“.
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კოლეჯის 25 პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი.
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კოლეჯის 20 პროფესიულ განათლების მასწავლებელს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: „სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის“.

წარმატებული კურსდამთავრებულების ისტორიები

ვალიდა ნოზაძე,
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის კურსდამთავრებული

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში, წარმატებით დავასრულე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სავაგონო მეურნეობა. დღესაკი, დასაქმებული ვარსაქართველოს რკინიგზის ხაშურის სავაგონო დეპოში, ავტო-საკონტროლო პუნქტის ზეინკალის პოზიციაზე.

კოლეჯში გატარებულმა ნაყოფიერმა დღეებმა დადებითად იმოქმედა ჩემსკარიერულ განვითარებაზე, რისთვისაც მადლობას ვუხდი კოლეჯის მთელს ადმინისტრაციას დამის ხელმძღვანელს, ქალბატონ მანანა მოისწრაფიშვილს.
სტუდენტებს კი, ვინცთავიანთი წარმატების გზაზეა, მინდავურჩიო, რომთამამად გადადგანპირველი ნაბიჯები, დაიწყონ სწავლადა არგამოტოვონ განვითარების შესაძლებლობები. თითოეულმათგანს წარმატებებს და ახალსაინტერესო გზებსვუსურვებ“ - ვალიდანოზაძე, ა(ა)იპსარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის კურსდამთავრებული.

თამარ ბარამიძე,
(ა)აიპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის კურდამთავრებული

(ა)აიპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში, წარმატებით დავასრულე პროფესიული საგანმანათლენლო პროგრამა სარკინიგზო გადაზიდვები. დღესკი დასაქმებული ვარსაქართველოს რკინიგზაში, გამყოლი ოპერატორის პოზიციაზე.

კოლეჯში მიღებულმა ცოდნამ დაგარემომ, სადაც ადამიანური ურთიერთობები ძალიან ფასობს, ერთიორად გაზარდა ჩემიმოტივაცია მჭიდრო კავშირი მქონოდა სარკინიგზო სფეროსთან დაადამიანებთან. ამ ყველაფრისთვის კიმადლობას ვუხდი კოლეჯის მთელს ადმინისტრაციას დამის ხელმძღვანელს ქალბატონ მანანა მოისწრაფიშვილს.

გერქვას გამყოლი ოპერატორი ნიშნავს - სასიამოვნო სამგზავრო გარემო შეუქმნა ადამიანებს დადასამახსოვრებელი გახადო მათიგზა - რომელიც ზოგსსამუშაოდ, ზოგს დასასვენებლად, ზოგსკი ახალი საქმეების დასაწყისამდე მიიყვანს.“ - თამარ ბარამიძე, (ა)აიპსარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის კურდამთავრებული.

წარმატებული კურსდამთავრებულების ისტორიები

დიანა ნუკრაძე,
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
კურსდამთავრებული

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში, წარმატებით დავასრულე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სარკინიგზო გადაზიდვები. პოზიტიურმა გარემომ, სწავლების თანამედროვე მეთოდებმა და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრამ დადებითად იმოქმედა ჩემს პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე.

მადლობას ვუხდი კოლეჯის ადმინისტრაციას და პროფესიონალი მასწავლებლების გუნდს ლამაზი და შემეცნებითი დღეებისთვის.

მარიამ გვეტაძე
(ა) აიპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
კურსდამთავრებული

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული სტუდენტი მარიამ გვეტაძე 2021 წელს, პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს ფარგლებში წარდგენილ ნომინაციაში „წლის პროფესიული სტუდენტი“-ს გამარჯვებული გახდა და ასევე სტუდენტობის პერიოდშივე დასაქმდა სს „საქართველოს რკინიგზაზე.

გიორგი ბუტულაშვილი
(ა)აიპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
კურსდამთავრებული

საგანმანათლებლო პროგრამის ,,ლოკომოტივის მართვა“ პროფესიული სტუდენტი გიორგი ბუტულაშვილი შერჩეულ იქნა „ევროპის შეგირდთა ქსელის“ (EAN) ყოველწლიურ ღონისძიებაზე მონაწილეობის მისაღებად.

ღონისძიება ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა პროფესიულ განათლებაში ჩართული პროფესიული სტუდენტების მოსაზრებების, ხედვის და გამოცდილების გაზიარებას, აგრეთვე, ითვალისწინებდა მსჯელობას დუალურ სწავლებასთან დაკავშირებული პრიორიტეტებისა და გამოწვევების შესახებ.

საკონტაქტო ინფორმაცია

+ (995) 577 17 80 65;

INFO.RTC2016@GMAIL.COM

ქ. თბილისი, თემქა XI მკ.რ III კვ. ნაკვეთი 01/10;

ა.ა.იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
RAILWAY TRANSPORT COLLEGE